# 1912

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი

· მცირე წლოვანთათვის ·






თებერვალი.

№ 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

წელიწადი მე-VIII. № 3 თებერვალი, 1912 წ.



პატარა ლეტბარი — სგრ.

საქართველოს სახელმწიფო [illegible] ბიბლიოთეკა
თბილისი

# შინაარსი:

I — პატარა ლოტბარი, — სურათი . . . . . . . . 1

II — გამოცანი, — ლექსი მიმქრალისა. . . . . . . . 3

III — კოხტას დღიური, — (დასასრული) დ. ვედრებისელისა . 4

IV — ქვრივის ლელა, — ლექსი კიკნა ფშაველისა . . . . 8

V — ძიამ გაახარა, — მარიამ გარიყულისა . . . . . . 10

VI — კეთილი გოლიათი, — (დასასრული) გადმოკეთ. თედო კანდელაკისა . . . . . . . . . . . . . . 14

VII — ახლა კი მივხვდი, — არაკი ლესინგისა, (თარგმანი) ნინო ნაკაშიძისა. . . . . . . . . . . . 19

VIII ფუჭი კაკალი, — ვაგნერისა (თარგმანი) დ. ყიფიანისა . 20

IX — გასართობი: რებუსის და ახსნა. . . . . . . 24

ტფილისი, ელექტ.-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საკ. სახლი № 5.



# გამოიცანი!

ვის უმღერის დედა ტკბილ ჰანგს,
ტკბილ ნანინას, მილის პირსა?
ვისში სახავს ნეტარებას,
ვისით ელის შვება-ლხინსა?

ვინ შეადგენს მის თაიგულს,—
ერთად დაწნულ ია-ვარდსა?
ვინ ახარებს მარად მის გულს,
ვისით იქრობს სევდას, დარდსა?

**მიმქრალი.**



# კოხტას დღიური.

(დასასრული).

## 5. სოფელში.



ცედრებისი პატარა სოფელია, მაღლობზე, სულ ამწვანებული, ლამაზი, ალვის ხეებით და კაკლებით შემკული. კაკლები მწვანე კარვების მსგავსად დგანან; იმათ ჩრდილებში თამაშობენ ბავშვები, ისვენებს ნახირი, ისვენებენ მწყემსები და ტკბილად უკრავენ სალამურს.

ხის ორთვალი კოხტა სახლი ამაყად გადასცქერის დიდ მწვანე ეზოსა შუაში ათასფერი ვარდებია; მესერთან მწკრივად არის ჩარგული თუთის ხეები და ქარი აურევინებს თაფლივით ტკბილ და თოვლივით თეთრ თუთას.

სახლის წინა ბოძების ქვეშ რუში მხიარულად მირბოდა მამის წყალი. საქათმე, დიდი და მაღალი, განშორებით იდგა ეზოში. ალერსით და პატივისცემით მიგვიღეს აქაურმა ფრინველებმა, ჩვენმა ნათესავებმა. მივედით თუ არა, ერთად ვჭამეთ პური და შემდეგ სუყველა შესანიშნავი ადგილები გვაჩვენეს.

— სადა ხართ, ჩვენო პაწუნა, ღაბუა, ყვითელა?—მაგონდებოდა ჩემი საწყალი დები და ძმები და მიკვდებოდა გული.—

რატომ თქვენც ჩვენთან არა ხარობთ ამ სამოთხეში? ახალ-გამოჩეკილი ყვითელი წიწილები თამამად დარბოდნენ ეზოში, საცა სურდათ. ტუყა, ქედა, ატანგა, მურა, და ამათი ლეკვები, ათი მაღლის აქა, არავის არაფერს არ უშავებენ, არა გვანან სამაგელ არაპკას!

### 6. აქაური ჩვენი მტერი.



მუდამ დღე ვსეირნობდით, დავ-ყვანდით ბიძა ჩემს — ხანში შესულ მამალს, რომელსაც ხალისიანი გუ-ლი აქვს და გაგიჟებით უყვარვართ ჩვენ — ძმის-წულები.

ერთხელ აგვიყვანა ღვთის-მშობ-ლის გვერდაზე.

— აბა, შვილო, გადაიხედე და ნახე, რა მშვენიერებაა?! — მითხრა ძიამ.

მართლაც, რომ გადავიხედე, აღ-ტაცება ვიგრძენი: მამის ტოტები ვერცხლის მაფებივით იყვნენ დაფანტული მწვანე მინდორზე და იმალებოდნენ დათოვლილ ლურჯ მთებში. დახუჭუჭებულ კაკლებ ქვეშ აქა-იქ სჩანდა შენობა, ყავარი, ან თეთრი ბოძები.

— ძია, მართლა რომ აქაურობა სამოთხე ყოფილა! — უთ-ხარი ბიძაჩემს და სიხარულის ტირილი მომივიდა, რომ ასე მშვენიერია ქვეყნიერობა. იმ წუთში ჩემი გული სიყვარულით სავსე იყო: მიყვარდა განა მარტო ჩემი ოჯახი, მეგობრე-ბი, ნათესავები, მიყვარდა, როგორც ცოცხალი სულიერი არ-სებანი — ეს მთები, ეს ბარი, ეს მდებარეობა; ბალახსაც-კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღტაცებით ვემთხვეოდი; მიყვარდა ყანები, ცა, თითქო ლურჯი ატლასი გაუკრავთ მაღლაო; მაღალი ტყეები ჩაფიქრებული უცქეროდა ამ თითქოს განგებ დახატულ კუნჭულს.

მზე დაბლა იყო, თავის წითელ ლოგინს უახლოვდებოდა; მამა ოქროს ფრად იცქირებოდა. მიყვარდა ადამიანები, მაღლები, ყველა სულდგმული; არაჰკაც რომ უცებ აქ გაჩენილიყო, ისიც გამეხარდებოდა.

— აი, მე რა მეჯავრება! — წამჩურჩულა ჩემმა ამხანაგმა, ინდაურის ჭუკმა, სახელად ყიუყიუმ:— შეხედე! არც-კი სცხვენიათ:

ჩემ მამიდაშვილს — ნაცარას — მთელ საქათმეში სიაშრის ხმა ჰქონდა დავარდნილი, არავის არ უყვარდა: აეთრია საწყალ ქარვას ნაწლავები, — გუშინ დაკლეს ქარვა, — და ტყისკენ მირბოდა; ამ დროს დაეწია ჩვენი შორეული ნათესავი — კუდმოჭრილი ქათამი, სცდილობდა ნაწლავები წაერთმია, და ჩხუბი ჰქონდათ. ბიძა ჩემმა ამაყად შებღვირა ორსავე ქათამს და ხმა-მაღლა ბმანა:

— როგორ გაწუწკდა ჩვენი ქათმობა! გუშინ თავს აკლავდნენ ქარვასა, თუთას აღარ მიაკარეს პირი, ახლა-კი, შეხედეთ, იმის ნაწლავებს ათრევენ... ყიუყიუმ გამიტაცა ახლოყანის ნაპირებში, — ბალბა იყო იქა.

თან ბალბას შევექცეოდით, თან ვმუსაიფობდით. უცებ საშინელი კიჟინა შემოგვესმა.

— ჰაი! ჰაი! ჰაი!..

— შვილო, ყიუყიუ!

— კოსტა! (ჩემი სახელია) თავს უშველე! — შემოგვესმა ჩვენი დედების ხმა.

— გამოიქეცით! ჩქარა! მტერი მოდის!

— მტერი? — გავიოცე მე, — სად რას ჰხედავენ?

— მაღლა აიხედე! — მიპასუხა ყიუყიუმ.

მართლა, როცა თავი მაღლა ავიღე, ტანში ჟრჟოლა მომივიდა შიშისაგან: რაღაც შავად მოფრინავდა ზეციდან, რაღაც უზარმაზარი ფრინველი იყო; იმის დიდ ფრთებს ფრაშფრაში გაჰქონდა. იმ წუთში ასე მეგონა, მზე გაჰქრა მეთქი, ამ კუნჭულს შავი შალი გადაჰფარებია მეთქი... თითქო გათავდა სიცოცხლე. სიმინდებიდან, ყანებიდან გამოიქცა ხალხი:



ზოგს ხელში ბარი ეჭირა, ზოგს თოხი; დასცეს კიჟინა იმ უშველებელ ფრინველს. ქორი ყოფილიყო და შეაშინეს: აფრინდა მაღლა, დაილია, ოდნავ დასანახავი-ღა გახდა.

— ახლა-კი შინ წავიდეთ!—ბძანა დედაჩემმა—სული მოვიბრუნოთ, ხალხის დღე ვლოცოთ, თორემ ცუდად იყო საქმე.

— ამ ოხერმა ქორმა შარშან ორი ვაჟიშვილი მომტაცა!— დაღონებული ხმით სთქვა ბიძაჩემმა.

გულ-გახეთქილები შინ ჩამოვედით.

— ღამე რომ ქანდარაზე ავხტი დასაძინებლად, ფიქრებმა წამიღო:

— რა უბედური ვართ, წვრილ-ფეხობა! ქალაქში—არაპკები, მეეზოები, სამზარეულოში—დანა და ხანჯალი, სოფელში—ქორი, ძერა, მელია.

ვაი ჩვენს გაჩენასა..!

დ. ვედრებისელი.



# ქვრივის ლელა.

ყველა აქებს... ყველას უყვარს
ჩვენებიანთ ქვრივის ლელა:
მთელ დღეს შრომობს მოუღლელად
პაწაწინა ცუგრუმელა;

დილით ადრე წამოდგება,
სუფთად დაჰგვის ეზო-კარებს;
ცხვარ-ბოჩოლას სამოვარზე
მეხბორეებს მიაბარებს;

დაბრუნდება—ქათმებს აჭმევს,
ჭუკებს—ბალახს დაუკრეფავს,



ასაუზმებს მურიასა,
კარებზე რომ მუდამ ჰყეფავს;

კერას—ცოცხსა გამოუსვამს,
ფეტვსა აჰმევს წვრილ-წიწილებს;
მათხოვარი თუ მოვიდა,
ფქვილს მისცემს და გააცილებს;

მინდორზე ცხენს ალაგს უცვლის,
გზაზე — თან აქვს ანა-ბანა,
მოვა—ტკბილად ისაუზმებს
რძით და ყველით დედასთანა;



ბინდამდისა სულ იშრომებს,
ვახშმად ბევრსა იტიტინებს;
ვახშმის შემდეგ, წინდის ქსოვით,
დედის გვერდზე მიიძინებს...

ასე შრომობს მოუღლელად
ჩვენებიანთ ქვრივის ლელა:
ამიტომაც ყველას უყვარს
პაწაწინა ცუგრუმელა!

**კოკნა ფშაველი.**



# ძია მ გაახარა.



მთელი დღე თოვდა, თოვდა გადაუღებლივ.—ხან მსხვილ ბამბის ქულებად ეფინებოდა დედამიწას, ხან წვრილად სცრიდა. თოვლის ფიფქი ტრიალ-ბზრიალით მოდიოდა; ადამიანს თვალს უჭრელებდა, ყველას და ყველაფერს ათეთრებდა.

საღამოს ჟამმა მოატანა. ამინდი უფრო აირია: ჭაერში ერთი კორიანტელი დადგა. ქვენა ქარმა ღონივრად შემოუბერა, მირს დაფენილი თოვლი მაღლა შეანიავა, ზევითა და ქვევითა ერთმანეთს შეაჯახა.

დაბინდდა. ბუნება გამძვინვარდა და ადამიანს ნაცარ-ტუტად უპირებდა ქცევას.—ახალგაზდა თალიკო გამოვიდა დიდ ალაყაფის კარებში; შედგა, ქარს ზურგი შეაქცია, მძიმედ მოითქვა სული; მობრუნდა, ისევ მიუშვირა პატარა, ჯერ კიდევ ბავშური, მკერდი მრისხანე ამინდს და ჩქარის ნაბიჯით გაუდგა გზას სახლისაკენ.

—ნეტა დედა კარგად დამხვდეს, ამდგარიყოს, სახლიც დაელაგებინოს; უჰ, რა კარგი იქნებოდა!—გაიფიქრა გულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა-ადრიანვე გამოვიდა სახლიდან, მეზობლის ქალს, კატოს, სთხოვა ყური ეგდო ავადმყოფ დედისთვის და თვითონ წავიდა სამუშაოზე. სამი დღე თავ-აუღებლივ აუთოებდა. რაც თავი ახსოვს, ასე სცხოვრობენ ორივე დედა-შვილი.

ჯერ, სანამ პატარა იყო და საქმე არ შეეძლო, თან ატარებდა დედა. შეეჩვია მუშაობას: ყველგან იცნობდნენ, ყველას უყვარდა ლამაზი თალიკო და ასაჩუქრებდა. როცა წამოიზარდა, შველოდა მუშაობისაგან წელში გატეხილ დედას. დედის დარეცხილს აუთოებდა, ფულსაც თვითონ იღებდა და შინ ბრუნდებოდა. ახლაც მაგრად აქვს მუჭაში ჩაბღუჯული წითელი თუმნიანი,—ერთ მადლიან ოჯახში მთელი თვის ნამუშავარი; ცხრა მანეთი ეკუთვნოდათ, მანეთიც ხვალინდელ საჩუქრად დაურთო ზედ გულ-სათნო ქალბატონმა. ორი წლის ნახმარი თბილი პალტოც ჩააცვეს თალიკოს, ცოტა რამ ტკბილეულობაც მისცეს და ისე გამოისტუმრეს.

— ახლა სრულებით მზადა ვარ სახვალიოდ. პალტოც მაქვს, ფეხსაცმელიც, კოზინაყიც, ვაშლიც; სახლის ქირასაც გავისტუმრებთ, მედუქნესაც,—ილაჯი რომ წაიღო. ხვალ კატოსაც დაუძახებ, ნონას, ლიზას, – ყველას. ღმერთო, შენით! ოღონდ დედა იქნეს კარგად.—ამ ფიქრებით გულში ჩამოირბინა სანოვაგით სავსე ბაზარზე.

—აჰა-ჰა-ჰაა... გაიაფდა, გაიაფდა! მობრძანდით, მიირთვით!— ყვიროდნენ ვაჭრები და ტილოს კარვებ ქვეშ გაჩაღებულ მაყალებზე ითბობდნენ თოვლით გათოშილ ხელებს, ფეხებს მიწაზე აბაკუნებდნენ და ისევ ყვიროდნენ.

თალიკომ ერთხელ გადაჰკრა თვალი ქარვასავით ყვითელ ქათმებს, ინდაურებს, გოჭებს, არ შეევაჭრა, არც შეჩერდა: იცოდა, იმის ფულს იმათთვის არ ეცალა.

— რა უყო... თუ დედა კარგად იქნა, ჩვენ მამალს დავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლზეთ: მაინც დაბერდა ძალიან...—გაიფიქრა გულში. ქანქანით შევარდა თავის პატარა ეზოში და გაჯავრებით მიახეთქა ბჭის-კარი უკან დადევნებულ კორიანტელს. ოთახში სანთლის შუქი დაინახა: ალბად დედა კარგად იყო; და გახარებული, გაორკეცებული ძალ-ღონით გაქანდა სახლისკენ.

— თალიკო! მია ჩამოვიდა სოფლიდან, მია!—მიაძახა ამხანაგმა კატომ თავიანთ აივნიდან; მაგრამ თალიკოს არ გაუგონია ეს სიტყვები: ყურებში ისევ ქარის ზუზუნი ესმოდა.

ოთახის კარებს ეცა და მაგრად მოხურული კარი ხმაურობით შეაღო.

— დედა, ამდგარხარ?—შესძახა დედას და უცბად შედგა. სიცივისაგან აწითლებული ლოყები უფრო აენთო.

— მია!—დაიძახა გახარებულმა და ბუხართან მჯდომ ქალს მოეხვია კისერზე.

საწყალ ელენეს დავიწყებოდა ავადმყოფობა, მის ჩამოსვლით გახარებული ამდგარიყო და უღონოდ დაფუსფუსებდა ოთახში.

ამ დილით დატოვებული, ცივად გამომყურე, ჩამტვერილი ოთახი ახლა სხვა სახით იყურებოდა. თავიანთ საქმეს რომ მორჩნენ თალიკოს ამხანაგები, შემოცვივდნენ ამ პატარა ოთახში, ჯარასავით დატრიალდნენ: საფენი დაბერტყეს, ფილაქანი გარეცხეს, განჯინა გააკრიალეს, დახეხილი ჭურჭლით მორთეს-მოკაზმეს, ერთ საათში სარკეს დაამსგავსეს იქაურობა; ბუხარიც აუნთეს ელენეს და ჩაიც დაალევინეს.

—მია, როგორ, როგორ გამოატანე ასეთ ამინდში? თოვლი არ იყო გზაში, არც ესეთი ქარი? მაღლუბ როგორ არის, ჩემი ტინიკო? მია, ორი დღე მოიცადე: ტინიკოსთვის საკაბე უნდა გაგატანო,—აერიდა სიტყვებს ერთი მეორეზე და, გახარებული, ბზრიალასავით ტრიალებდა დალაგებულ ოთახში.

— შვილო, განჯინა გააღე და ნახე, რაები მოგიტანა ბიძა შენმა; როგორ ათრია ამ სიმძიმე მაგის წელმა, მოუკვდეს ჩემი თავი,—უთხრა დედამ თალიკოს. თალიკო მივარდა განჯინას და პირ-დაღებული დარჩა: რა არ იყო შიგ!—შემწვარი ინდაური, მოხარშული დედლები, ღორის ფეხი, ნაზუქები, ხილი. ხილს ნუღარ იკითხავთ,—ჩურჩხელები; ფერადი ჩირი; ყვითელი მსხალი, ხაშხაშა ვაშლები მადის აღმძვრელ სუნს აყენებდნენ განჯინაში და თალიკოს თითქოს ეშმაკურად უღიმოდნენ.

— ძია, ძია!.. როგორ ამოიტანე ყველა ეს ამ სიშორე გზაზე... ღმერთო, ღმერთო,—ისევ მიირბინა ბიძასთან და კიდევ დაუწყო ალერსი. თავით ფეხამდის დასველებული გლეხი უჯდა გახურებულ ბუხარს და იშრობდა სველ ტანსაცმელს, არაფერ პასუხს არ აძლევდა თალიკოს შეკითხვაზე,—დაღლილობას გაეყრუებინა,—მხოლოდ შეჭყურებდა ღიმილით და ამ ღიმილში გამოსთქვამდა მადგამი უსაზღვრო სიყვარულს. თითქოს ეუბნებოდა: ,,აი, როგორ მიყვარხართ; ხომ ჰხედავთ, რა ცუდ დარს ვსძლიე, მოვაღწიე თქვენამდის და მინდა თქვენთან ერთად გავითენო ახალი წელიწადი. სახლში მაინც ბევრი ჯალაბი დავტოვე... ელენე-კი მეცოდება, ჩემი და, ჩემი დედ-მამის შვილი: მარტოა საწყალი შენს ამარა, ჩემო ცუგრუმელაო.“

მხიარულმა თალიკომ ახალ წელიწადს დილით დიდი თეფშები ხილით აავსო და კეთილ მეზობელ ამხანაგებს გულუხვად უწილადა ძიას მოტანილი ნობათი.

მ. გარიყული.



# კეთილი გოლიათი.

(დასასრული).

მეტად მშვიდის ხასიათისა გამოდგა გოლიათი, მაგრამ მონობის უღელი მალიან ეჩოთირა საწყალს და ჯავრის ამოყრის ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა, როცა თავის მოღალატეს შეხვდებოდა.

ერთხელ, ჩვეულებრივ, ჭასთან მიიყვანეს, რომ წყალი ამოეღო და დიდი ბოჭკა აევსო. როცა მისი რიგი მოვიდა, ჩაჰყო ჭაში ხორთუმი თოკივით და დაიწყო წყლის ამოღება. აივსო ბოჭკა, მობრუნდა შინ წასასვლელად. უკან მოლლი დაინახა,—ახლა იმას უნდა ამოეღო წყალი,—და შეჩერდა.

— წავიდეთ, მეგობარო!—უთხრა წინამძღოლმა.

გოლიათი დაფიქრებული იდგა და არ მიდიოდა.

— აბა, ჰა, გაინძერ, შვილო! რაღას უდგეხარ, მამავ! გაუმეორა წინამძღოლმა, მაგრამ სპილო იდგა მთასავით უძრავად და ფეხს არ იცვლიდა: თურმე მოლლის უცდიდა. დაიწყო თუ არა მოლლიმ წყლის ამოღება, გოლიათი ეძგერა საშინელის ძალით და ჭაში-კი ჩაუმახა!

მერე გადახედა წინამძღოლს მხიარული ღიმილით და გაუდგა გზას.

სხვა სპილოების წინამძღოლებმა ლანძღვა-გინება დაიწყეს, გულმოსულმა პატრონმა გოლიათს ჯოხი დაუშინა და გზა-გზა საყვედურით გაბერა, მაგრამ გოლიათმა ეს ყველაფერი მოითმინა და, ნაცვლად გაჯავრებისა, ან სინანულისა, თვალებში სიხარული ეხატებოდა, რომ სამართლიანი სურვილი დაიკმაყოფილა.

მოლლი კაი ხანს ჭყუმპალაობდა ღრმა ჭაში; ზევითაც დიდი ფაცა-ფუცი და ალიაქოთი იდგა: ხალხი ყვიროდა, ილანძღებოდა; სპილოები ერთმანეთს აწყდებოდნენ, განსაცდელში მყოფ ამხანაგს თანაგრძნობით ჩაჰკირკიტებდნენ, ჩაბღუოდნენ და საშველად ხორთუმებს აწვდიდნენ,—მაგრამ ვერას შველოდნენ. ბოლოს ჭაში რკინის მაგარი კიბე ჩააყუდეს და მოლლი ამობობღდა, როგორც იყო.

გოლიათის ამგვარმა საქციელმა პატრონი ისე გააგულისა და შეაფიქრიანა, რომ ერთ ვაჭარს მიჰყიდა, რათა თავიდან მოეშორებინა. ვაჭარმა გოლიათი ინდოეთში წაიყვანა გასაყიდად.

დიდხანს მოუხდა ზღვით მგზავრობა გოლიათს. გემზე დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ხალხისა, რომელთანაც თავისუფლად დასეირნობდა დღე და ღამე გემის ბაქანზე; შეეჩვია ჭახრაკის ტრიალს, რომლითაც ამოჰქონდა ძირიდან საქონელი დატვირთულ გემის დასაცლელად. ამითი დიდ დახმარებასა და სამსახურს უწევდა მეზღვაურებს. მგზავრებსა და გემზე მოსამსახურეებს ძალიან დანანდათ მისი მოშორება და დიდის პატივისცემით გადმოსვეს ხმელეთზე, როცა გემი ნაპირს მიადგა.

გოლიათი იყიდა ინდოეთის მბრძანებელმა რაჯა (თავადი) ალკასარმა, რომელსაც სპილოები დამნაშავე მონების დასასჯელად ჰყავდა.

ალკასარს დაუმორჩილებინა აჯანყებული მონები, მრავა-
ლი იმათგანი ჩაემწყვდია ციხეებში და ახლა სიკვდილით დასჯას
უპირებდა. გოლიათი ძალიან მოეწონა რაჯას, რადგან ვაჭარი
არწმუნებდა, ისეა გაწვრთნილი ხალხის ხოცვაში, რომ ერთის
ბრძანებით დამპალ გოგრასავით უმტვრევს თავებს თავის
ტლანქი ფეხებითაო.

დანიშნა რაჯამ დამნაშავების დასჯის დღე. აივსო ხალხით
მოედანი. დაბრძანდა ალკასარი, გარს შემოისხა მსაჯულები,
დერვიშები (ბერები), ქურუმები (სასულიერო კაცნი) და მო-
თამაშეები. გაისმა საკრავების ჭიჭყინი, სიმღერა და ღრეობა.
გამოიყვანეს ხელებ-შეკრული დამნაშავეები, წააქცია ჯალათმა
ერთი იმათგანი და მიიყვანა იმასთან გოლიათი.

— აბა, სპილოვ, ჯერ ამას გაუჭეჭყე თავი, როგორც
პირველ დამნაშავეს!—უთხრა წინამძღოლმა.

გოლიათმა გადადგა წინ ნაბიჯი და გაჩერდა.

— აასრულე ბრძანება!—გაუმეორა წინამძღოლმა.

სპილომ კანკალი დაიწყო და უკმაყოფილოდ დაიღმუვლა.

— მშიშარა ყოფილა ეგ საძაგელი, როგორც კურდღე-
ლი!—დაიყვირა რაჯამ.

— დაემორჩილე ბრძანებას, ურჩო, თორემ შენ თვითონ
მიეცემი სიკვდილს!—შეჰყვირა რაჯამ.

გოლიათმა ყური არ ათხოვა არც მის ბრძანებას და არც
გამძვინვარებულ ხალხის ბრბოს; ღმობიერად მიაპყრა მშვიდი
თვალები მწუხარე დამნაშავეებს.

— აბა, ჩემო კარგო, ჩემო ძმაო, ჩემო შვილო, ჩემო
მზე და ჩემო მთვარევ! აასრულე რასაც გიბრძანებენ, თორემ
არც მე ამცდება სიკვდილი!—ეხვეწებოდა ყელსა და ხორთუმ-
ზე ხვევნით წინამძღოლი.

ალერსი და მოფერება საზოგადოდ დიდად უყვართ სპი-

ლოებს, მაგრამ ამ ჟამად გოლიათის ყურში არ შედიოდა ეს ალერსი და გაქვავებულივით იდგა.

— მაშ, აგრე, ხვაზაკო! მე შენ აგასრულებინებ მოვალეობას! — შეჰყვირა მოთმინებიდან გამოსულმა წინამძღოლმა, გამოსტაცა შუბი მის გვერდით მდგომ ჯარის კაცს და აწკაპა სპილოს ყურის ძირში, როგორც უფრო საგრძნობელ ალაგას.

— ესეც შენ, უსვინიდისო! უპატიოსნო დედ-მამის ჩამომავალო! უნამუსო დებისა და ძმების პატრონო!

გოლიათმა შეღმუვლა სიმწრით, — ჭრილობამ ყელამდის უწია, — და ფეხი ზევით აიღო...

— აგრე იზამდი, შე დალოცვილო! განა არ ვიცი, რომ გამგონე ხარ! — უთხრა სიხარულით წინამძღოლმა, მაგრამ მოსტყუვდა ანგარიშში: აიღო ფეხი გოლიათმა, ფრთხილად გადაალაჯა დამნაშავეს და სიბრალულით დააცქერდა...

დაღვრემილმა და გარინდებულმა სპილომ უცებ მხიარულად შებღავლა და გაექანა ვიღაც უცხო კაცისაკენ.

— რა დაგმართნია, მეგობარო! რა უნდათ შენგან? — მიუალერსა უცხო კაცი და მოეხვია გოლიათს: სპილომ გამოართვა ხელი ხორთუმით, მიიტანა გასისხლიანებულ ყურთან და მწუხარედ ამოიოხრა.

— რად დაგიჭრიათ ჩემი მეგობარი? რას თხოულობთ მაგისაგან? — იკითხა უცხო კაცმა. ეს იყო მეზღვაური, — გოლიათის უწინდელი მეგობარი, რომელიც ხალხის დასათვალიერებლად ჩამოსულიყო უცხო ქალაქში.

როცა გაიგო, როგორ იყო საქმე, მეზღვაურმა უთხრა ხალხს:

— გოლიათი ისეთი მშვიდი და გულ-კეთილია, რომ კაცის კვლას არასოდეს არ იკისრებს: მაგას ქვეყანაზე მტერი არა ჰყავს, გარდა ბოროტის ბუზებისა, რომლებიც უნამუსოდ

ჰკბენენ, მაგრამ იმათაც არას უშავებს, და სირცხვილია, რომ ჯალათობასა და კაცის კვლას შეაჩვიოთ ასეთი გულ-კეთილი პირუტყვი!.. განა სხვა გზით-კი არ შეუძლია აგინაზღაუროს მაგან, რაც დაგვხარჯვიათ! გოლიათი მორჩილი და მშრომელი პირუტყვია, თუ ბოროტ რამეს არ ავალებენ!.. გულ-კეთილობა, სიბრალული, მოწყალება და კაცთ-მოყვარეობის მაგალითი მაგან დღეს ცხადად დაგვანახვათ. ახლა თქვენც უნდა მიჰბაძოთ და მიუტეოთ ამ საცოდავ დამნაშავეებს!.. ნუ თუ, ბატონო რაჯავ, შენ, ადამიანი, პირუტყვზე სასტიკი და შეუბრალებელი უნდა იყო!?

ალკასარმა მრისხანედ გადახედა გაბედულ მეზღვაურს, მერე თავი ჩაღუნა და კარგა ხანს ფიქრობდა...

—მართალს ამბობს ეს კაცი!—დაიძახა ბოლოს რაჯამ და ფეხზე წამოდგა:—მიპატიებია სასჯელი! ნუ თუ მართლა სპილოზე სასტიკი და შეუბრალებელი უნდა ვიყო მე, ადამიანი, და ამასთან ინდოეთის მბრძანებელი?!

ხალხი აღტაცებაში მოვიდა. განთავისუფლებულები, რაჯასთან მიახლოვებას რომ ვერა ჰბედავდნენ, გოლიათს უკოცნიდნენ ფეხებს, ხორთუმს და თვალებს, მადლობის ნიშნად. დარცხვენილი წინამძღოლი ცდილობდა დაევიწყებინა გოლიათისთვის თავისი სისასტიკე.

—მაპატიე, ჩემო საყვარელო მეგობარო, ჩემო ძმაო, ჩემო მამავ, ჩემო მზე და ჩემო მთვარევ, და აჰა,—მიიღე ეს ნიშნად შერიგებისა!—მოეფერა და მიაწოდა ორი დიდი ვაშლი.

სპილომ გადაყარა ვაშლები და ფეხით გასრისა. წინამძღოლმა რომ კიდევ დაუწყო ალერსი, გოლიათი გაჯავრდა, მოხადა თავზე ქუდი, დაგლიჯა, დაფხრიწა და შიგ სახეში სტყორცნა; მერე მოშორდა, მოჰხვია მეზღვაურს ხორთუმი და თავი დაუკრა, თითქო მადლობას სწირავდა გაბედულ გამოსარჩლებისათვის.

რაჯას მოეწონა და შეუყვარდა მეზღვაური და სთხოვა დარჩენილიყო სპილოს მომვლელად. ისიც სიხარულით დათანხმდა.

სპილო და ეს კაცი დიდხანს ცხოვრობდნენ განუყრელ მეგობრებად. როცა მეზღვაური მოკვდა ღრმა მოხუცებულობით, სპილო დიდ მწუხარებას მიეცა და კინაღამ თავი დააკლა ერთგულ მეგობარს.

თეო კანდელაკი.





# ახლა კი მივხვდი.

(იგავი გ. ლესინგისა).

ერთხელ ლომი შემთხვევით კურდღელს გაეცნო. ჩქარა დამეგობრდნენ, გულითადი მუსაიფი გამართეს და კურდღელმა ჰკითხა:

—ერთი მიბძანეთ, ბატონო ლომო,—მართალია, რასაც ამბობენ თქვენზე, უბრალო მამლის ყივილისა ისე ეშინიან, რომ, გაიგონებს თუ არა, იმ წამსვე გარბისო?

—დიაღ, მოხდება ხოლმე,—მიუგო კეთილი გულით ლომმა,—ამბობენ და საზოგადოდ შენიშნულიცაა, რომ ყოველ დიდ, მძლავრ ცხოველს ცოტა რამე სისუსტე მოსდგამს. აი, მაგალითად, ავიღოთ თუნდ სპილო,—იცი, თუ არა, რომ ღორის, ან გარეული ტახის ღრუტუნი სპილოს თავზარსა სცემს და შიშით აკანკალებს...

—ჰოო... წარმოსთქვა დაფიქრებით კურდღელმა,—„დიდ ცხოველებს ცოტა რამ სისუსტე მოსდგამს,“-ო, ბძანებთ; მაშ ახლა-კი მივხვდი, რისთვის გარბიან თავპირის მტვრევით კურდღლები, როცა ძაღლის ყეფას მოჰკრავენ ხოლმე ყურს!..

**ნინო ნაკაშიძე.**



# ფუჭი კაკალი.



ქვენ წინ კაკლებით სავსე თეფში სდგას. ბავშვები მათ ჩაქუჩით ან ქვით ამტვრევენ. კაკლის ნაჭუჭი მეტად მაგარია, ხოლო გული ნოყიერი და გემრიელია. ,,ნეტავ კაკალს მაგარი კანი არ ჰქონდეს,“—ჰფიქრობთ თქვენ.

ამ თეფშზე მარტო ერთი კაკალი დარჩა. ის სხვაზე გემრიელი უნდა იყოს: ნარჩენი ხომ ყოველთვის ტკბილია! კაკალს ტკაცანი გასდა, ნაჭუჭი დაიფშხვნა, ბავშმა ტკბილი გულისაკენ ხელი გასწია, მაგრამ—დახე უბედურებას!—კაკალი ფუჭია! მუქი, ნაცრის ფერი მტვრის გარდა იმის გულში არაფერი არ არის. ეს გული ჭიას შეუჭამია. რანაირად, როგორ მოხდა ეს? როგორ შეეძლო უძლურ ჭიას ასეთ მაგარ ნაჭუჭში შეძრომა, კაკლის გულში გაჩენა?

ყური მიგდეთ, და გიამბობთ ყველაფერს.

გაზაფხულზე და ზაფხულში, როდესაც კაკლები ჯერ არ დამწიფებულა, მწვანე წენგოთია დაფარული და ტოტებზე ბოლქვებად სამ-სამი ან ოთხ-ოთხი ერთად ჰკიდია. ზოგიერთ ნორჩ კაკალს ნაჭუჭი ადრე უმაგრდება, მაშინ, როდესაც

სხვებს, რომელნიც ნელ-ნელა იზრდებოდნენ, ჯერ არ გამაგრებია.

ცხელ მზიან დღეს კაკლის ხის ქვეშ, მიწაზე პატარა, მოყვითალო რუხი ფერის წინწკლებიანი ჭია სეირნობს. ისეთი პატარაა, რომ თქვენი ნეკის ფრჩხილიც-კი მასზე მეტი იქნება. თავი ერთობ საკვირველი, განსხვავებული აქვს: მისი წინა ნაწილი გაგრძელებულია და თმასავით წვრილ ხორთუმსა ჰგავს. ამ ხორთუმს თვით ჭიის სიგრძე აქვს; ქვეითკენ დახრილი და მოკაუჭებულია. ხორთუმის წინა კიდეზე პირია თავის კბილებით ანუ ისრებით. ეს ისრები საფხეკად სჭირდება და ისეთი პატარებია, რომ მხოლოდ გამადიდებელი შუშის საშუალებით შეგიძლიათ დაინახოთ. ამ საკვირველი ხორთუმის ორსავ გვერდზე თითო რქაა; პატარა დანასავით იკეცება და ხორთუმზე მჭიდროდ არის მიკრული. ეს ჭია თავის შვილებისათვის მეტად მზრუნველი დედაა: მათთვის ისეთ კარგსა და უშიშარ ადგილს არჩევს, რომ მუდამ ქარისა და წვიმისაგან დაფარული იყოს და საზრდოც გამოულეველი ჰქონდეს. ჭია ხეზე სეირნობს, კაკლებს მიადგება და ერთი მეორეზე გულ-დასმით ათვალიერებს და სინჯავს: რომელთაც ნაჭუჭი უკვე გამაგრებია, სრულებით არ მოსწონს: რბილ-ნაჭუჭიანი კაკლები უფრო იამება.

აი უკვე თავის საკბილო კაკალი მოძებნა; ჩერდება და მუშაობას იწყებს. თავის კბილებით ნაჭუჭში პატარა ხვრელს გამოღრღნის, შიგ პატარა კვერცხსა სდებს და შემდეგ თავის ხორთუმით კაკლის რბილსა და ნოყიერ გულში შეაგორებს. ნორჩი კაკლის ნახვრეტი ისევ მალე ივსება; მხოლოდ იმ ადგილას, სადაც იგი იყო, ძლივს შესამჩნევი წინწკლა რჩება.

რამოდენიმე დღის შემდეგ კაკალში კვერცხიდან გამოდის

პაწაწინა ჭია. ამ ჭიას უადგილობის გამო სირბილი არ უხდება, და ამიტომ არც ფეხები აქვს. ყოველ დღე კაკლის გემრიელი გულით პირს იტკბანურებს და სწრაფად იზრდება. რასაკვირველია საზრდო უნდა გამოიზოგოს და ცოტ-ცოტა სჭამოს, თორემ კაკლის გული არ ეყოფა და, სანამ გაიზრდებოდეს, უსაჭმლოდ დარჩება და სიმშილით სული ამოხდება. მაგრამ ყველა ჭია კეთილ-გონიერი არ არის და ამიტომაც ხშირად შეხვდებით ფუჭ კაკალს, რომელშიაც მკვდარი ჭია გდია. ამ კაკლებში გულის ნასახიც არ არის; მაშასადამე ან თვით ჭიებს უზომოდ უჭამიათ, ან გული მეტად პატარა ყოფილა. ჭიები უმრავლესად სრულიად არ გამოილევენ ხოლმე საჭმელს. ორი კვირის შემდეგ ისინი კარგა მოზრდილები ხდებიან: თავიანთი ოთახები მეტად ევიწროებათ და მზის სინათლეზე გამოსვლა უნდათ. ამიტომაც მაგარი ნაჭუჭი უნდა გამოღრღნან და გარედ გამოძვრნენ.

ჭია მიწაზე ეცემა, მაგრამ ეს ჩამოვარდნა არაფერს ავნებს: მიწაში ღრმად მიძვრება და შიგ თავს იმარხავს. იქ ის დიდხანს, მთელ წელიწადს რჩება. შემდეგ პატარა კუკად (ჭუპრად) იქცევა და ხელ-ახლა სინათლეზე გამოდის, მაგრამ ახლა პატარა მზრუნველ დედა ჭიად ქცეული, რომელიც ისევ კაკლის ხეზე ნაყოფის გასანადგურებლად მიცოცავს.

**დ. ყიფიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რებუსი.




**მე-2 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:**

რეგვენ კაცს ჭკუა თვალში აქვს.

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

1912 წლის 1 იანვრიდან გამოვა **ორშაბათობით** დიდი ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთი

# —თემი—

(წელ. მეორე)

წლიურათ 2 მან. 50 კაპ. ნახევარი წლით 1 მან. 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: Дворцовая, 6 д. насл. Д. З. Сараджева.

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. დიასამიძე.**

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1912 годъ

на газету

## „Закавказская Рѣчь"

*Годъ изданія четвертый.*

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

| съ доставк. на домъ: | Въ Тифлисѣ | Въ провинц. |
|---|---|---|
| На годъ . . . . | 6 руб.—коп. | 8 руб.—коп. |
| „ полгода. . . . | 3 руб. 50 коп. | 4 р. 50 к. |
| „ 3 мѣсяца . . . | 2 руб. — коп. | 2 р. 25 к. |
| „ 1 мѣсяцъ. . . | — 70 коп. | — 75 к. |

*АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь"* Дворцовая ул., домъ Д. З. Сараджева.

Для телеграммъ: *Тифлисъ, „Закавказская Рѣчь".*

Редакторъ **кн. Г. И. Палавандовъ.**

Издатель **Э. Д. Горделадзе.**

# 1912 წ. მიიღება ხელის მოჳწერა

## დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

# „ნაკადულ“-ზე

### ✦ წელიწადი მერვე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** **წიგნი „ნაკადულისა“** მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი „ნაკადულისა“** მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

✦ **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.** ✦

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა **5** მან. ნახევარ წლით — **3** მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი — **3** მან. მოზრდილთათვის **12** წიგნი — **3** მან., ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა შეიძლება **ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის ს., გოლოვ. პრ. № 8. Редакція „Накадули“ Головинскій пр. № 8. და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში** — ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, და მარიამ ყაუხჩიშვილთან. **სამტრედიაში:** ივანე გლადკოვთან, **ფოთში** — თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში** — კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტროფიმ ინასარიძესთან. **დ. ხონში** — ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან. **ოზურგეთში** — ლეო იმნაძესთან. **თელავში** — ვანო ჭაატაშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში** — ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში** — ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში** — კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში** — ივანე გომელაურთან, **განჯაში** — ბ. ამბოქაძესთან. **ერევანში** — კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**